N 8 2016 წლის 11 იანვარი ქ. თბილისი

„საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირის – გარემოს ეროვნული სააგენტოს მიერ გაწეული მომსახურების სახეებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 18 აგვისტოს №502 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირის – გარემოს ეროვნული სააგენტოს მიერ გაწეული მომსახურების სახეებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 18 აგვისტოს №502 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 20/08/2014, 040030000.10.003.018122) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული მე-14 დანართი ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით.

მუხლი 2. დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ-მინისტრი **გიორგი კვირიკაშვილი**

საქართველოს მთავრობის
2016 წლის 11 იანვრის
№ 8 დადგენილების
დანართი
„დანართი 14

ლიცენზირების დეპარტამენტის მიერ გაწეული მომსახურების ტარიფები

1. ცნობის მომზადება დაინტერესებული პირის მიერ წარდგენილ კოორდინატებში მითითებულ ტერიტორიაზე (ან მის ნაწილზე) ლიცენზიის არსებობა-არარსებობის შესახებ. მომსახურების ტარიფი:

ა) განაცხადის რეგისტრაციიდან 2 სამუშაო დღეში – 20 ლარი, დღგ-ის ჩათვლით;

ბ) განაცხადის რეგისტრაციიდან მომდევნო სამუშაო დღეს – 40 ლარი, დღგ-ის ჩათვლით;

გ) განაცხადის რეგისტრაციის დღესვე – 50 ლარი, დღგ-ის ჩათვლით.

2. „სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის წესისა და პირობების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2005 წლის 11 აგვისტოს №136 დადგენილებით დამტკიცებული დებულების 7^3 მუხლით გათვალისწინებული ვალდებულების – ლიცენზიის ნაწილის ან მთლიანად გადაცემა – დაჩქარებულ ვადებში შესრულება:

ა) განაცხადის რეგისტრაციიდან (დოკუმენტაციის წარდგენიდან) მომდევნო სამუშაო დღეს – 30 ლარი, დღგ-ის ჩათვლით;

ბ) განაცხადის რეგისტრაციის დღესვე – 50 ლარი, დღგ-ის ჩათვლით.

3. „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-15 მუხლით გათვალისწინებული – სალიცენზიო მოწმობის დაკარგვის ან დაზიანების შემთხვევაში გასაცემი დუბლიკატის იმავე სამუშაო დღეს გაცემა – 30 ლარი, დღგ-ის ჩათვლით.

4. ლიცენზიის მფლობელის მოთხოვნის საფუძველზე გეოსაინფორმაციო პაკეტის ასლის მიწოდება:

ა) განაცხადის რეგისტრაციიდან 4 სამუშაო დღეში – 20 ლარი, დღგ-ის ჩათვლით;

ბ) განაცხადის რეგისტრაციიდან 2 სამუშაო დღეში – 30 ლარი, დღგ-ის ჩათვლით;

გ) განაცხადის რეგისტრაციის მომდევნო დღეს – 40 ლარი, დღგ-ის ჩათვლით;

დ) განაცხადის რეგისტრაციის დღესვე – 50 ლარი, დღგ-ის ჩათვლით.

5. „სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის წესისა და პირობების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2005 წლის 11 აგვისტოს №136 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-3 მუხლის მე-19 პუნქტით განსაზღვრული სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის (შესაბამისი სალიცენზიო მოწმობის ჩათვლით) გაცემა დაჩქარებულ ვადებში:

ა) ლიცენზიის მაძიებლის მიერ აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო/შეთავაზებული თანხის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის წარდგენიდან 10 სამუშაო დღეში – 50 ლარი, დღგ-ის ჩათვლით;

ბ) ლიცენზიის მაძიებლის მიერ აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო/შეთავაზებული თანხის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის წარდგენიდან 7 სამუშაო დღეში – 100 ლარი, დღგ-ის ჩათვლით;

გ) ლიცენზიის მაძიებლის მიერ აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო/შეთავაზებული თანხის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის წარდგენიდან 5 სამუშაო დღეში – 150 ლარი, დღგ-ის ჩათვლით;

დ) ლიცენზიის მაძიებლის მიერ აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო/შეთავაზებული თანხის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის წარდგენიდან 3 სამუშაო დღეში – 200 ლარი, დღგ-ის ჩათვლით;

ე) ლიცენზიის მაძიებლის მიერ აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო/შეთავაზებული თანხის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის წარდგენიდან 2 სამუშაო დღეში – 300 ლარი, დღგ-ის ჩათვლით;

ვ) ლიცენზიის მაძიებლის მიერ აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო/შეთავაზებული თანხის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის წარდგენიდან მომდევნო სამუშაო დღეს – 400 ლარი, დღგ-ის ჩათვლით;

ზ) ლიცენზიის მაძიებლის მიერ აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო/შეთავაზებული თანხის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის წარდგენის დღეს – 500 ლარი, დღგ-ის ჩათვლით.

- **შენიშვნა:** ამ დანართის მე-5 პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული მომსახურების მოთხოვნის შემთხვევაში, საჭიროა, მოთხოვნა (თანდართულ გადახდის დამადასტურებელ დოკუმენტთან ერთად) დარეგისტრირდეს სამუშაო დღის 12:00 საათამდე.“.